№ 10

პარასკევი, 14 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

№ 10

პარასკევი, 14 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 იანვარს.**

**ნიკოლოზ, ზაქარია, ქრისტეფორე, კონსტანტინე, გიორგი იოსების ძენი მამაცაშვილები დებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა, დეისტვიტელნი სტატსკი სავეტნიკის ქვრივის ნინო **კონსტანტინეს ასულის მამაცაშვილისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 14 იანვარს საღამოს 7 საათსა, 15-ს დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ 16 იანვარსა, დილის 10 საათზედ პირველ თუმანოვის ქუჩიდგან სახლი № 24 ალექსანდრე ნევლის კუკიის ეკკლესიაში და იქიდგან რკინის გზის სადგურზედ წაასვენებენ სოფელ რუისში წასაღებად და დასაკრძალავად.

(2—1)

**„ივერია“**
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
პარასკევს, 14 იანვარს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ყიფიანისა და ტუყვიაველის მონაწილეობით
**ე. ა. ჩერქეზიშვილის**
საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება:
I
პირველად ახალი პიესა
**ხაფანგი**
დრ. 4 მოქ. და 5 სურ., მევლესი.
II
**ადვოკატთან**
ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.

III
დივერტისმენტი
დასასრულ გამართული იქნება
**ლეკური**
ითამაშებენ მებენეფისე ლ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა: ბ-ნნი ყიფიანი, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

ქ. ქუთაისში ასალი წიგნის მაღაზია გ. ბეჟანიშვილისა. ალექსანდრეს ქუჩაზე, ქალაქის ბაღთან, ანდრონიკოვის სახლებში გავმართე ახალი წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული

**წიგნები**

და აგრეთვე საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები. (5—2)

ვაცნობებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია ამა 1894 წლის მომავალს მაისის თვეში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი პოდპოლკოვნიკი თავ. ბებუთაშვილი. (3—2)

## ტფილისი, 14 იანვარს

—

წარსულის წლის, ჟურნალ „Р. М.“-ის მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი პროფესორის ივანიუკოვისა, რომელსაც სამართლიანად მთელის რუსეთის მწერლობამ მიაქცია ყურადღება და კვლავ, ახალის ენერგიით და მხნეობით იკვლევს რუსეთის შინაურ ცხოვრების ერთს დიდს საჭირ-ბოროტო საგანს: რა ვიღონოთ, რა მოვაგვაროთ, როგორ ვუშველოთ მიწასთან გასწორებულს და გათახსირებულ სოფლის მეურნეობასო.

პატივცემული პროფესორი, დიდი მცოდნე პოლიტიკო-ეკონომიურის საგნებისა, დასახელებულ წერილში, მოგვითხრობს იმ სასოფლო სამეურნეო კრების ამბავს, რომელიც მოხდა შარშან სექტემბერს სარატოვში. კრებას დაესწრნენ მემამულენი, მსწავლულნი, მოხელენი და მცოდნე კაცნი ადგილობრივ მამულების ვითარებისა. სულ შეიკრიფნენ წარმომადგენელნი ცხრა აღმოსავლეთ-სამხრეთ რუსეთის გუბერნიებისა და ორის ოლქისა: დონისა და ურალისა.

კრებას საგნად ჰქონია, გამოერკვია და აენუსხა ის მიზეზნი, რამაც ასე დაამხო ძირს რუსეთის მეურნეობა, როგორც მემამულეთა, აგრეთვე გლეხთა და რამაც ასეთის სისასტიკით იჩინა თავი 1891 წელს, როდესაც გლეხი იკვებებოდა ბალახ-ბულახით და ხის ქერქით. კრებას აზრად ჰქონდა აგრეთვე გამოერკვია, რა ღონისძიება უნდა იყოს მიღებული, რომ მეურნეობა ფეხზედ დავაყენოთო.

მთავრობამ მხარი მისცა კრებასა და აღუთქვა, არაფერს დავიშურებ, რაც-კი შესაძლებელია და კრებას ხელს მოვუმართამ, რომ დაუბრკოლებლივ შეასრულოს თვის მოვალეობაო.

კრებაზე წაკითხულ რეფერატებისა და მოხსენებიდამ ცხადად გამოირკვა სწორედ რომ უცნაური და საკვირველი ამბები. აღმოჩნდა, რომ ზოგს გუბერნიაში, ას მეკომურზე, ოც-და-ცამეტ კაცს არც სახნავ-სათესი მამული აქვს, არც საქონელი ჰყავს. მემამულე მიხაილოვმა გარკვევით დაასურათა, რომ, თუ მალე არა ვიღონეთ-რა, მთელ აღმოსავლეთ-სამხრეთს რუსეთს დიდი უბედურება მოელის. ტყეები ულმერთოდ გაიჩეხა, მდინარენი დაპატარავდნენ, მიწას ღონე გამოელია, ამოშრა, გამოიფიტა, განქრენ სრულიად ტბანი და პატარა მდინარენი, ხოლო რიცხვი ხევებისა და ღელეებისა მეტად გამრავლდა; საძოვრები გადიხნა, რის გამოც შემცირდა საქონლის საკვები. რადგან აღარ არსებობს ტყე-საფარი, ცივი ჩრდილოეთის ქარები, დაუბრკოლებლივ თოვლს ხევებში ჰხვეტენ და დედამიწას შიშველს სტოვებენ. სიცივე-ყინვამ ამისათვის საშინლად იმატა.

კასპის ზღვის მხრიდან აგრეთვე დაუბრკოლებლივ ჰქრის საშინელი ცხელი და ხმელი ქარი, მოაქვს გახურებული ქვიშა და უწყალოდ სილავს ნახნავს. სადაც ამ ოცის, ოც-და-ათის წლის წინად მშვენიერი ყანები ბიბინებდა, დღეს შიშველი და ტრიალი უდაბნოებია. ბევრჯელ ამ საშინელ ქარებს მთლად ამოუგდია დათესილი ნახნავი და მხვნელ მთესველი ცარიელ-ტარიელი დაუსვამს.

თუ დროზე არა ვიღონეთ-რა, უთქვამს მიხაილოვს, ჩვენი მხარე მალე დაემზგავსება შუაგულ აზიის ტრიალ, უწყლო და ქვიშიან უდაბნოსაო.

მიხაილოვის მოხსენება დიდის გულმოდგინებით მოისმინა კრებამ და დიდი სჯა და კამათობაც გაჰმართა.

კრება შემდეგ შეუდგა იმის გამორკვევას, თუ, ზემოდ მოყვანილ ფიზიკურ მიზეზებ გარდა, რა სოციალური და ეკონომიური მიზეზები უცარავს ხელს სოფლის მეურნეობას.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო რეფერატი წაუკითხავს ხარჯის აკრეფის ინსპექტორს განეიზერს *). განეიზერს უთქვამს, რომ გლეხის ეკონომიური მდგომარეობა საშინლად შეირყა, ოჯახი იმისი დაირღვა და გლეხ-კაცი წელში ვერ გასწორებულა. საკმარისი მამული არა აქვს, არ მოეპოვება ხეირიანი სამეურნეო იარაღი, იაფ ფასად ვერა შოულობს ხელის მოსანაცვლავად ფულს და, რაც უფრო საყურადღებოა, სახელმწიფო გადასახადი ისე დიდია, რომ მისი ატანა ყოვლად შეუძლებელია. სარატოვის გუბერნიაში თურმე ერთს მეხუთედს გლეხობას ან სულ არა აქვს მამული, ან თუ აქვს ძალიან ცოტა; მუშა საქონელიც ან სულ არა ჰყავს, ან თუ ჰყავს, თითო

*) ამისთანა მოხელენი დღეს ჩვენშიც არიან განწესებულნი.

# ფელეტონი

—

**საბიბლიოგრაფიო წერილი**

„მოამბე“—თვიური ჟურნალი, წელიწადი პირველი, № 1, იანვარი 1894 წ. ტფილისი.

განუსაზღვრელის სიამოვნებით ამოვწერეთ ზემო-მოყვანილი სახელი ახლად დაბადებულის ჟურნალისა და უფრო უმეტესის სიამოვნებით გადავიკითხეთ იგი თავიდამ ბოლომდე. მიზეზი ამ სიამოვნებისა გახლავთ პირველი ისა, რომ აგერ ათი წელიწადია ქართული საზოგადოება მოკლებული იყო სალიტერატურო ჟურნალს და თვალ-ამოღამებული შეჰკითხებოდა თავის სასტიკ ბედს, როდემდე უნდა ვიჯდე გულს ხელ-დაკრეფილი და მენატრებოდეს თვით ისეთი საყოველთაო ფარ-ხმალი ჰკუა-გონების ალებ-მიცემობისა, როგორიც არის ჟურნალიო. ამ მიზეზს განმარტება არ უჭირს, იგი ცხადია ყველასათვის და კიდეცა მრწამს, რომ ქართველი მკითხველი საზოგადოება სრულიად მონაწილეა ჩვენის გრძნობისა ხსენებულ მიზეზის გამო.

სამაგიეროდ, მეორე მიზეზი ჩვენის სიამოვნებისა თხოულობს განმარტებას და თანაც ძალიან ვრცელს განმარტებას, თუმცა ჩვენ, ადგილის სიმცირისა გამო, იძულებულნი ვიქნებით სიტყვა მოკლედ მოვჭრათ. ეს მეორე მიზეზი გახლავთ ახალის ჟურნალის შინაარსი, რომლის განხილვაც ჩვენ განვიზრახეთ. შინაარსის მხრივ პირველმა ნომერმა „მოამბისამ“, მიუხედავად ყოველ ახალ საქმის ნაკლულევანებათა, საამური ზედმოქმედება იქონია ჩვენზედ და აგვაღებინა ხელში კალამი, რომ განვუზიაროთ მკითხველებს ჩვენი აზრი ნორჩის ჟურნალის შესახებ.

ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა ყოველ საქმეში კაცმა ფხიზლად დაიჭიროს თვალი და არ მოარიდოს იგი არც ღირსებას საქმისას, არც მის ნაკლს. ჩემის აზრით-კი, უმეტესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ნაკლისაკენ, მას უფრო უნდა გაუსწოროს კაცმა თვალი თვალში, გაზომოს იგი სიგძე-სიგანეზედ, რომ უფრო ადვილად მოახერხოს მისი შემეცნება და მოშორება თავიდგან.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ უმეცარი ხალხი ვართ და ამის გამო ცრუდ გაგებული თავ მოყვარობა ხელს გვიშლის დავიჯეროთ, რომ ჩვენცა გვაქვს ნაკლულევანება და ძლიერ ბევრი ნაკლულევანებაც, რომელთაც გამხელა ეჭირვება, რადგან ჭირთა გაუმხილებლად, გაუმჟღავნებლად შეუძლებელია კერძოდ ჩვენი და საზოგადოდ ქვეყნის წარმატება. მართალია, ქართველს მოღვაწეს და მეტადრე მწერალს ძალიანა სწყინს და ეუცხოვება, როდესაც გულახდით ეტყვი, რომ იგი ჯერ შორსა სდგას არა თუ მსოფლიო გენიოსებზედ, რომელნიც სასიქადულოდ დარჩებიან მთელს კაცობრიობას საშვილიშვილოდ, არამედ ზოგჯერ ევროპის სრულებით უმნიშვნელო მწერლებზედაც, რომელთა სახელი ერთის კვირის მანძილსაც ვერ შერჩება ხოლმე მკითხველის მეხსიერებას; მართალია, უმეტესობას თავისი პაწაწა თავი შექსპირსა, დანტესა და რუსთველზედ უდიდესად მიაჩნია და თუნდ გულში არ მიაჩნდეს, სცდილობს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ უდიდესად მიიჩნიოს,—დიაღ, თუმცა ასეთი ახირებულია ჩვენთა მწერალთა გუნდის უმეტესობა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენს მოვალეობადა ვთვლით გულწრფელად თქმას, მიუხედავად იმისა, იამებათ ჩვენი ნათქვამი, თუ ეწყინებათ.

ამ წინასიტყვაობას შემდეგ გადავავლოთ „მოამბეს“ თვალი მიუფერებლივ და, თვით საქმის წარმატებისთვის, ნუ დავფარავთ ნურც ღირსებას ამ ახალის ორგანოსას, ნურც მის ნაკლს.

**

„მოამბის“ სიტყვა-კაზმულ ნაწილში მოთავსებულია სამი ორიგინალური მოთხრობა ბ-ნთ ეგ. ნინოშვილისა, შ. არაგვისპირელისა და ილია ჰავჰავაძისა. ამათში პირველ ორის ავტორის მოთხრობები გათავებულია, ხოლო ბ-ნ ჰავჰავაძის მოთხრობისა დაბეჭდილია ჯერ მარტო დასაწყისი.

ჟურნალი იწყება ბ-ნ ნინოშვილის მოთხრობით „მოსე მწერალი“, რომლის დედა-აზრი გახლავთ შემდეგი: გურიის ერთს სოფელში სცხოვრობს გლეხის ქვრივი ბაბალე უნათლოშვილი, რომელიც წვითა და დაგვით გამოზრდის თავის ორ ვაჟიშვილს, სოფონას და ოქრუას. ოქროუა უმცროსი შვილია და სამხედრო ბეგარის სოჯახო სიაში ჩაწერილი. ბა-

ჯაგლაგი ცხენი, რომლითაც ხვნათესვა შეუძლებელია. ამავე დროს, ასეთი დაბეჩავებული და სამოწყალოდ გამხდარი გლეხი იხდის სახელმწიფო ხარჯს დღიურზე ხუთი მანეთიდან ექვს მანეთამდე.

ასეთია ვითარება მხვნელ-მთესველისაო, სთქვა განეიზერმა და რა ნაირად აყვავდება მეურნეობა, თუ ეს სულის შემხუთავნი მიზეზნი დროზედ აცილებულ არ იქნება. კრება მოვალეა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მან შეამციროს გადასახადი, უმამულოს უშოვოს მამული და იაფფასიანი კრედიტი გაუჩინოს სოფლის მეურნესაო.

სამწუხარო და სავალალო აქ კიდევ ისაა, რომ გაჭირვებულია დღეს მარტო გლეხი-კი არა, დიდი მამულის პატრონიც. მამული ისე დაუვალიანდათ, რომ სარგებლის შეტანას ველარ ასდიან ბანკებში და მამა-პაპეული სამკვიდრო ხელიდან ეცლებათ. მამულს ჰკარგავენ, მაგრამ ვალში დაკარგული მამული იმას-კი არ უვარდება ხელში, ვისაც მის მოვლის თავი აქვს და ვინც იშრომებს, არამედ იმისთანას, რომელიც იჯარადრობის წესით სარგებლობს მამულით და ისედაც ღონე-გამოლეულ მამულს, უფრო ათახსირებს.

ამ საგნის შესახებ კიდევ განვაგრძობთ ბაასს.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, პარასკევს, 14 იანვარს, იქნება გამართული ბენეფისი არტისტი-ქალის ე. ა. ჩერქეზიშვილისა, რომელიც ოთხშაბათს უნდა ყოფილიყო. დიდ-ძალმა საზოგადოებამ მოიყარა კიდეც თავი ქართულ თეატრის დარბაზთან, მაგრამ უწყალობისა გამო ელექტრონი ვერ აანთეს და იძულებულ შეიქმნენ გადაედოთ წარმოდგენა სადღეისოდ.

*** გუშინ-წინ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს ცნობა მოსვლია მთავარ-სამხედრო სასამართლოდგან, რომ საკასაციო საჩივარი კოვალიოვისა, კონდუქტორ ქიქოძეს დამცველისა, რომელსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სამხედრო ოლქის სასამართლომ ჟანდარმის გრუზინის მოკვლისათვის, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული, რადგან საკმაო საბუთები არ არის წარმოდგენილი განაჩენის შეცვლისათვისაო. გუშინწინვე, გაზ. „Нов. Обоз.“-ს სიტყვით, მთელი საქმე ქიქოძისა მთავარ-სამხედრო სასამართლოს დადგენილებითურთ გაეგზავნა კავკასიის მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად და იმ განკარგულების გასაცემად, რომ აღსრულებაში იქმნას მოყვანილი სასამართლოს განაჩენი.

*** ოთხშაბათს, 12 იანვარს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში გამართული იყო საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენა. წარმოადგინეს რუსულად სამ-მოქმედებიანი კომედია: „Лакомый кусочекъ“, ალექსანდროვისა. წარმოდგენაში სულ სცენის მოყვარულნი იღებდნენ მონაწილეობას. ყველას ეტყობოდა, რომ პირველად გამოსულიყო სცენაზედ და გამწვრთნელი არა ჰყოლოდათ, ისე თამაშობდნენ და ჰლაპარაკობდნენ, როგორც საკუთარს გონებას ჩაეგონებინა. ყურადღება დაიმსახურა ისევ ქსენიას აღმასრულებელმა „კახეტინკამ“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც ღამის ორ საათამდე გასტანა. წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო ხალხი, სხვათა შორის, ბევრი იყო ქართველობაც.

*** აგერ უკვე ორი კვირა იქნება, რაც ტფილისში ჩამოვიდა ცირკი ძმ. ნიკიტინებისა და ყოველ საღამოს წარმოდგენებსა ჰმართავს. ცირკში რამდენიმე კარგი არტისტიცა ჰყავთ. განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევენ ტრაპეციაზედ მოთამაშე ორნი დანი, შვიდი-რვა წლისანი, სამუსიკო კლოუნები ტომი და ჟაკი და კრაუზეს ბუნდოვანი სურათები. ხალხი ძალიან ეტანება ცირკის წარმოდგენებს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალი სავაჭრო ამხანაგობა კახეთის მემამულეთა 1 თ ებერვლიდამ დაიწყებს თავის მოქმედებას. დიდძალი ღვინო ჩამოუვიდა უკვე ამხანაგობას და ამ ჟამად წესსა და რიგში მოჰყავთ თვით სარდაფის და მის გამგეობის საქმე.

*** როგორც დაჭეშმარიტებით ამბობენ, 1 ივლისიდამ შემოღებულ იქმნება ამიერ-კავკასიის პატარ-პატარა სამაზრო და საოლქო ქალაქებში საქალაქო თვით-მმართველობა, ანუ ესრეღ წოდებული შემოკლებული საქალაქო დებულება.

*** გორიდამ სწერენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გაზეთს, რომ ამ დღეებში ჩვენს ქალაქზე გაიარა კავკასიის წყალ-მდინარეთა ინსპექტორმა და დაათვალიერა გამოკვლევანი ინჟენერებისა ჩვენს მაზრაშიო. როგორც ვიცით, წყალ-მდინარეთა გამგეობას აზრად აქვს არხი გაიყვანოს დიდ-ლიახვიდამ და სარწყავად გადააქციოს დიდძალი მამულები ტირიფონის მინდვრებისა და მეჯვრიხევ-ბერშუეთის ბოლოებისა. ინჟენერებს უკვე 35 ვერსი გაუვლიათ იმ ადგილიდამ, საიდამაც წყალი უნდა გადმოგდებულ იქმნას არხისათვის. თუ ეს პროექტი დამტკიცდა, სწორედ დიდებული საქმე გაკეთდებაო, ამბობს გაზეთი და სასურველია, რომ იმ მამულების პატრონები, რომელთა სარწყავებად გადაქცევა განუზრახავს წყალ-მდინარეთა გამგეობას, გულ-მოდგინედ და თანაგრძნობით მოექცნენ ამ საქმესაო.

*** უწყლოობისა გამო გუშინ ტფილისის არც ერთს თეატრში წარმოდგენა არ იყო, რადგანაც დინამო-ელექტრონის მაშინა ბანკის თეატრში და გაზის მაშინა სახელმწიფო თეატრში ვერ ამოქმედეს და სათეატრო დარბაზი ვერ გაანათეს.

*** ოპერაში მომღერალი არტისტი-ქალი პაპაიანი ტფილისში რჩება ოპერის სეზონის გათავებამდე—დიდმარხვამდე.

*** კავკავის გზაზედ სადგურ კობსა და მლეთს შუა დიდი თოვლი მოვიდა და ამ სადგურებს შუა მარხილები დადის. რამდენსამე ალაგას პატარა თოვლის ზვავები ჩამოწვა, რის გამოც ფოსტა ერთის დღით დაგვიანდა.

*** სოფ. პატარა თონეთსა და დიდ თონეთში საქონლის რაღაც ჭირი გაჩნდა. ავად გახდა 104, რომელთაგანაც 73 მოკვდა და 28 მორჩა.

*** სოფ. ალიბეგლო (საინგილო): ახალ წელიწად დღეს, ალიბეგლოში ცხენით ჩამოევლო სალამოს ჟამს კაკელს შიოშვილს. ყველანი ამტკიცებენ, რომ მთვრალი არ იყოვო; მაგრამ სვე-უბედური, ჯან-მრთელი კაცი, ვიღაცა სვე-დაწყევლილს შიგ გზაში მოეკლა და მისი ცხენიც იქვე თუთის ხეზე მიება.

ამაზეა ეხლა სოფელი აწიოკ-დაწიოკებული. ხალხი ძალიან აღელვებულია, დაეძებენ მკვლელს. იმედია იპოვნიან დამნაშავეს. სამნი უკვე შეიპყრეს. მაგრამ ხალხი მაინც არა წყნარდება, ჯავრობს და ჰღელავს: „ვინ მოჰკლა ახალ წელიწად დღეს ჩვენს სოფელში კაციო“!

*** გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, რომ ამას წინად გარდაცვლილს, ქართულის ენის ცენზორს ლუკა სტეფანესძეს ისარლოვს დარჩენია ხელ-ნაწერი რვეული ქართულის ლექსებისა და გამოკვლევა ქართველ-კათოლიკეთა ისტორიისა, რუსულს ენაზედ დაწერილიო. განსვენებულის ანდერძისამებრ, ამ ნაწერებს ჰბეჭდავს ზ. ჭიჭინაძე. ამ თხზულებათა კრებულში იქნება აგრეთვე მოთავსებული განსვენებულის წერილები კავკასიის ისტორიისა და ეტნოგრაფიის შესახებ, რომლებიც გაზ. „Кавказъ“-სა და „Тиф. Вѣст.“-ში იყო დაბეჭდილი 1852—1873 წლებში. ეს წიგნი წრეულს გამოვა.

# დამაკვირდი

ზოგიერთი სწავლული ბანკის კასირსა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ გასაღები აბარია და ფული-კი მას არ ეკუთვნის.

ბერნე

**

ეჭვიანობა უფრო თავმოყვარეობის, ნაყოფია ვიდრე სიყვარულისა.

ქ-ნი დე—სტალი.

**

ცხოვრების გზა მან ჰყო უზრუნველ, ვინც შეეჩვია მოთმინებასა და გამძლეობას.

# ნაწყვეტი

ეს მთა მზის შუქით ბრწყინვალებს,
ის მთა ჯანლითა ბნელაო,
მოვა დრო, ეს მთა იბნელებს,
იმ მთას შეჰნატრებს ყველაო.
კაცის ცხოვრებაც ასეა:
დღეს შენ გაქვს ლხინი-მღერაო,
ხვალ სხვას ეწვევა და შენ-კი
გატირებს ბედის-წერაო.

# კორესპონდენცია

**ჟოროხის ხეობა.** 7 იანვარს კარგა დიდი თოვლი მოვიდა ჩვენსკენ. თითქმის ორს მტკაველზე დაჰფარა დედა-მიწა და ამის გამო მოვსწყდით ქვეყნიერობას. გუშინ გავისტუმრეთ ფოსტა ბათუმს „ტროიკით“ და არ ვიცით, როგორ ჩავა, ან იქიდამ როგორ დაბრუნდება. აღარ მუშაობენ მენავენი, აღარც ფურგუნები და დროგები დადიან, რომელთაც მოჰქონდათ ყოველ-გვარი ჭირნახული და საკვები საქონლისა საწყალისა და ღარიბის ხალხისათვის.

ჭირნახულის ნაკლებობა-კი აქეთ საკმაოდ საგრძნობელია. ხალხსაც აკლია საკვები და საქონელსაც. ვიდრე თბილი დღეები იყო, საქონელი იოლად მიდიოდა, რადგან ტყეში ნეკერსა ჰხრავდა და ცოტას რასმე სწიწკნიდა აქა-იქ; ახლა-კი ტყეში ველარ გადის და ჩალა და ნაქურჩალა უნდა ეძლიოს სახლში, მაგრამ ესეები მეტის-მეტად ძვირიც არის და ძნელი საშოვარიც. ერთი ბეწვა კონა ჩალისა ჰღირს 5-10 კაპ. ფუთი კინაღამ 3 მანათად მოვა. თუთუნსაც მეტი ფასი აღარა აქვს აქაურ ჩარჩების გადამკიდე. არ უჯობდა მაშ ხალხს, რომ ასე ნამეტნავად თუთუნის თესვას არ მისდევდეს და სიმინდის მოყვანასაც ჯეროვანის ბეჯითობით უგდებდეს ყურს, რომ ზამთრობით საქონლის საცოდაობით არ იწვოდეს.

ვინ იტყვის, რომ თუთუნის მოყვანა კარგი საქმე არ იყოს. მერეიმისთანა თუთუნისა, რომელიც, როგორც მაგალითად აქაური, მეტად კარგის ღირსებისაა, მაგრამ როცა ამისთანა მოსავალი მოგყავს, მის გასაღებაც უნდა რიგიანად მოაწყო. ეხლა-კი რას ვხედავთ. თუთუნის გასაღების საქმე მთლად ჩარჩების ხელშია და ისინიც ისე ატრიალებენ

---

ბალეს ეშინიან გაგზავნოს თავისი შვილი ჯარის-კაცად და მიჰმართავს სოფლის გაცვეთილ მწერალს მოსე გულფუჰაძეს, რომელიც ხუთ თუმნად ყალბ მოწმობებს მოუხერხებს, ვითომც სოფონა ბაბალეს გერია და ცალკე სცხოვრობს, ხოლო ოქრუა ერთად-ერთი შვილია მისი. მოწმობებზედ მოსემ მოტყუებით ხელი მოაწერინა სოფლის მღვდელს ღრმად მოხუცებულს ათანასეს, აგრეთვე „კეთილ-სინიდისიერ“ მოწამესა და მამასახლისისის თანაშემწეს. მოწმობების წყალობით ოქრუა განთავისუფლდა სამხედრო ბეგარისაგან. ასეთი ბედნიერება ბაბალესი შეჰშურდა მის მოსისხლე მეზობელს ბაგრატ ქერაძეს, რომელმაც შეატყობინა მთავრობას სიყალბე მოწმობებისა. დამნაშავენი დაიჭირეს, გარდა მოსე გულფუჰაძისა, და ყველანი დაიღუპნენ.

ეს არის შინაარსი მოთხრობისა, რომელსაც დიდის ხალისით ჰკითხულობთ ბოლომდე, რადგან საგრძნობელი სურათები ერთი-ერმანეთზედ ნიჭიერადა ღა ხელოვნებით არის მობმული და შთაბეჭდილება თანდათან მატულობს. ახალგაზდა მწერალი ამ მოთხრობაში თითქო ხასიათის დახატვასაც ახერხებს, სახელდობრ, ოქრუას თითქო საკუთარი ფსიხოლოგიური ფერიც სდევსო, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი ავტორი ჯერ არ არის დახელოვნებული და ამიტომ ვერც დაგვიხატა მთელი ზნეობრივი სურათი ოქრუასი. უმთავრესი ყურადღება ბ-ნ ნინოშვილისა მიმართულია ცხოვრების სურათებისა და საზოგადოებურ მდგომარეობის ხატვისაკენ. სუსტი მხარე „მოსე მწერალისა“ გახლავთ მოხუცი მღვდელი ათანასე, რომელიც მართალად გაგონებთ სპეტაკს სახეს ალექსანდრე ყაზბეგის მოძღვარისას.

რაიცა შეეხება ბ-ნ არაგვისპირელის ფსიხოლოგიურ ეტიუდს „ადე, ჩამოვიდა!“, შეგვიძლიან დარწმუნებითა ვთქვათ, რომ იგი სრული ფსიხოლოგიური შეცდომაა ავტორისა. გოგია მეწისქვილე კახეთის შიმშილობის დროს დიდად ნაღვლიანია, რომ საფქვავი აღარავის მოაქვს მასთან და ფქვილი ველარსად უშოვნია საკვებად. ფულის გარშემო თავის წისქვილს და ელანდება წარსული ბედნიერება, როდესაც გაცხარებული მუშაობა ჰქონდა მის წისქვილს. აქამდე ეტიუდში დაუჯერებელი არა არის-რა. აგერ ერთმა გლეხმა ნახევარი კოდი ხორბალი მოიტანა დასაფქვავად, გოგიამ წყალი მოუგდო, აატრიალა წისქვილის ქვა და ხორბლის პატრონი-კი ამასობაში მიწვა და ჩაიძინა. გოგიას რცხვენოდა, ნახევარ კოდზედ მინდი როგორ უნდა ვთხოვოო, და ისევ ქურდულად აღება არჩია, მაგრამ რაკი ქურდობასაც ბევრს ვერას გამორჩებოდა, სრულიად მოინდომა ფქვილი და ამიტომ განიზრახა მძინარა კაცის მოკვლა, რომ ამ საშუალებით ნახევარი კოდი ფქვილი დაესაკუთრებინა. აიღო ცული დასაკრავად, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი ბოროტი განზრახვა, ჰკრა გლეხს წიხლი, გამოაღვიძა, უთხრა—„ადე, ჩამოვიდა“ შენი ხორბალი, დაიფქვაო და „ხელჩაკვრით“ გავარდა გარეთ.

ეს უცნაური ბოლო სწორედ არ შეეფერება ჩინებულად განზრახულს ეტიუდს, რომელიც არა ჰლალატობს ფსიხოლოგიურ სინამდვილეს იქამდე, ვიდრე გოგიას არ მისცემს ავტორი ხელში ცულს კაცის მოსაკლავად და ისიც ნახევარ კოდ ფქვილისათვის!.. ასეთი ფსიხოლოგია თვით ველურს ხალხშიაც დაუჯერებელია და ჩვენს გოგიას რას ვემართლებით ნეტა!..

**

ბ-ნ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ ჯერ არას ვიტყვით, რადგან იგი გაუთავებელია, ვისურვებთ მხოლოდ, რომ „უცნაური ამბავი“ არ იყოს პატარა ეტიუდი, რომელშიაც დახატულია ხოლმე თითო რომელიმე კუთხე საგნისა. „უცნაურის ამბავის“ ავტორი დიდი ხანია ცნობილია. ქართველ საზოგადოების მესაიდუმლედ, მოგულისპასუხედ, იგი ჩახედულია ჩვენს ცხოვრებაში და გულ-მოდგინედ უგდებს ყურს ქართველის მაჯის ცემას. აქამდის თუ ჩვენის საზოგადოების ფერსა და უფერულობას შეადგენდა ჯერ ბატონ-ყმობა და შემდეგ ახალი განწყობილება თავადსა და გლეხს შორის და ამიტომ დღემდე თუ ჯერ „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ გმირები იპყრობდნენ ქართველის საზოგადოების უპირატესს ყურადღებას, ეხლა სრულებით სხვა გვარ ხალხსა თხოულობს ჩვენი ცხოვრება, სრულებით სხვა საგნებმა მიიზიდა მისი ცნობის-მოყვარეობა, სრულებით სხვა გზას ეძებს თავის ახალ მოთხოვნილების დასაურვებლად. ჩვენმა მესაიდუმლემ „ოთარაანთ ქვრივში“ მხოლოდ გაკვრით, მხოლოდ ცალის სიტყვით დაგვანახვა ახალი კაცი, ინტელიგენტი არჩილი, რომელიც ჰცდილობს ცხოვრების საქმიანობას და ტრიალს აზრი და მიზეზი მოუნახოს, მოუჩხრიკოს და ამის გამო ყოველს მოვლენას ცხოვრებისა

ხალხს, როგორც თავიანთ სურვილი და ქეიფია. ართმევენ უფულოდ, მოაქვთ ჰყიდიან და ფულის მაგიერ მოაქვთ დამპალი ჩითეულობა, უვარგისი ფარჩა და იმას ასაღებენ თუთუნის ანგარიშში. ორ-ნაირად აძრობენ ხალხს ტყავსა ეს ოინებში დახელოვნებულნი რაინდნი. ვინ არის პატრონი, რომ ყოველ ამას ყურადღება მიაქციოს, მოაწყოს თუთუნის გასაღების საქმე რიგიანად და მით დიდი სარგებლობა მისცეს მთელს მხარეს. ეს საგანი ისეთია, რომ ჰლირს ამაზედ დაფიქრდნენ აქეთის მხრის ნასწავლნი და თავიანთ ქვეყნის გულშემატკივარნი ქართველნი კაცნი.

ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა.

---

**საინგილო:** შარშან გაზაფხულზე ძალიან დაისეტყვა ლეკების სოფელი ემირჯანლო, სოფელი სოსკანი, კაკის ბინები: ალათემური და ყარამეშა. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი ზარალი მისცა სეტყვამ სოფელს ემირჯანლოს. ისე ჩარეგვა თავ-თავ ამოღებული ყანები, რომ მცხოვრებლებმა სრულიად ველარა ისარგებლეს-რა; მეორე დღესვე შეუშვეს საქონელი და სრულიად მოაძოვეს. ვენახებსა და ხეხილს ისე ძლიერ დაჰკრა სეტყვამ, რომ გენახათ, გეგონებოდათ ზამთარია და ტყეებსა და ხეხილს სიცივისაგან ფოთოლი გასცვივნიაო. ამ მიზეზით ემირჯანლოს ლეკებმა ვერცა რა მომკეს-რა და ვერც-რა გალეწეს-რა. ჩალთუკი და ფეტვიც ნაკლებად მოუვიდათ თავიანთ სიზარმაცისა გამო; მაგრამ აქამდე როგორც იყო იოლად წავიდნენ, ახლა-კი ისე გაუჭირდათ ცხოვრება, რომ მიჰმართეს ზაქათალის ოლქის უფროსს და სთხოვენ პური მოგვეციოთ.

ასეთივე ზარალი მოუვიდათ ორმოციოდე კომლს ინგილოს სოფელს კაკში. ესენი ზაფხულშივე თადარიგს შეუდგნენ და იშოვეს პური და ბზე, ზოგი ყიდვით, ზოგი ჩუქებით. დაზარალებულ მოძმეებს მიეშველნენ სხვა ინგილოები და შეუმსეს ნაკლი. ემირჯალოს ლეკები-კი დარჩნენ უნუგეშოდ. როგორც სარწმუნოება უწერთ, ისინი აჰყვნენ ბედის წერას: არაფერი იზრუნეს საზამთროდ. მიანდვეს თავიანთი ოჯახობა ღვთის განგებას. „რა ვქნათ, ავი და კარგი კაცის ცხოვრებაში ღვთის ნებით არისო: როგორც გაგვაჩინა, ისეც დაგვარჩენსო“, ამბობდნენ ისინი, როცა კაკელი ქართველები ეუბნებოდნენ: „თქვე საწყლებო! რა გეშველებათ, რა უნდა სჭამოთ წლეულსაო“.—„ჩვენი ქითაბი გვიწერსო, რომ ამ წუთის სოფელში ქრისტიანები მდიდრულად და კარგად იცხოვრებენო, მაგრამ საოთხეში წილი არ ექმნებათო“,—ამით ანუგეშებდნენ თავიანთ თავს, და დადიოდნენ სხვა-და-სხვა სოფლებში თუთისა და ბალის საჭმელად. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ოლქის ლეკები და თათრები მეტად დაუდევარნი არიან. ერთი კოდი პური რომ დათესოს, ძალიან უხარიან და ამბობს: „თუ დამაკლდა კიდევ საზრდო, იმას კიდე ალახი მომცემსო“. ეს დაუდევრობა რომ თან არ სდევდეთ ოლქის მუსულმანებს, იმათაც ექნებოდათ ძველის-ძველი პური, როგორც ინგილოებს, რომლებიც კარგად ირჯებიან. ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ინგილოს მთავრობისათვის პური ეთხოვნოს. ხოლო მუსულმანებს არა ერთხელ დაუწყიათ წუწუნი მთავრობის წინაშე. ასე მოიქცნენ წელსაც. სთხოვეს ოლქის უფროსს: „უბრძანეთ ინგილოებს, პური გვასესხონო“ კახის საბოქაულოს ინგილოები ეხლა აგროვებენ ხორბალს. ალიბეგლოელები ჯერ უარზე იდგნენ, მაგრამ აღმოჩნდნენ მათ შორის ისეთი ჭკვიანები, რომლებმაც ურჩიეს დამშეულთა მიშველება. „დაე, ღმერთმა მოგვცეს საზრდო, და თუ მეტი გვექნება, სხვებსაც ვასესხოთო“, დაასკვნა ხალხმა თავის ხანგრძლივი ბაასი. ეხლა ალიბეგლოელები აგროვებენ 50 კოდამდე პურს და ჩალთუქს ემურჯანლოს ლეკთათვის.

მღ. დიმ. ჯანაშვილი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულ წლის 10 დეკემბერს ახალციხის ქართველმა სცენის მოყვარეებმა გაჰმართეს ქართული წარმოდგენა ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის სასარგებლოდ. ითამაშეს „აირია მონასტერი“ და „მათიკოს“ მესამე მოქმედება. ეტყობოდა, რომ მოთამაშენი სინდისიერად მოჰქცეოდენ თავიანთ როლებს. სასიამოვნოდ წარმოადგინეს და საზოგადოებაც ძრიელ ნასიამოვნები დარჩა. განსაკუთრებით თავი იჩინეს ქ-ნმა დ. ჩივაძისამ და ბ-ნმა გ. ჩივაძემ. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ბილეთები გაიყიდა სულ 128 მ. 49 კაპ., ისე შემოვიდა მეტი 5 მ. 80 კ., სულ შემოსავალი იყო 134 მ. 29 კაპ.

დაიხარჯა ტელეგრამაში გუბერნატორთან ნება-რთვის ასაღებად 2 მ. 35 კაპ., აფიშებისა და ბილეთების დაბეჭდვა და გაკვრა 5 მ. 50 კაპ., მარკები ბილეთებისათვის 10 მანეთი, სახლის ქირა 10 მანეთი., მედუდუკეებს 3 მანეთი, პიესის გადაწერა ტფილისში 2 მანეთი, პარიკმახერის 2 მანეთი და 50 კაპ., მებუფეტეს დანახარჯში 2 მ. 65 კაპ., სხვა-და-სხვა ხარჯი 3 მან. 86 კაპ. სულ დაიხარჯა 41 მ. 86 კაპ. წმინდა შემოსავალი იყო 92 მ. 43 კ. რომელიც სრულად გადაეცა საზოგადოების ხაზინადარს.

გამგე კომიტეტი ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა უგულითადესს მადლობას მოახსენებს ზემოხსენებულ-წარმოდგენის გამმართველთ: ქ-ნთ დ. ა. ჩივაძისას, ე. ფალიაშვილისას, ლ. ნ. ზედგინიძისას და ნ. დ. იაშვილისას, ბ-ნთ გ. ჩივაძეს, ბ. ხმალაძეს, გ. ხერხეულიძეს, ა. დეკანოზიშვილს, კ. ბეზირგნიშვილს, ბ. გაბისონიას, კ. ნასიძეს, გ. შიუკაშვილს და განსაკუთრებით ბ-ნს ა. მიქელაძეს, რომელსაც ყველაზედ მეტი შრომა მიუძღვის ამ წარმოდგენის გამართვაში. მადლობას მოახსენებს აგრეთვე ქ-ნს პ. იაშვილისას ბილეთების გავრცელებისათვის და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

მდივანი საზოგადოებისა ბურჭულაძე

---

## შემოწირულობა

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც შემოსწირეს ფული რწმუნებულ ჩემდა დიდ-ჯიხაიშის ეკლესიის მოსახატავად. აი სია შემომწირველთა:

ფეფიკო ჩხენკელისამ—12 მანეთი, ალათი ცაგარეიშვილის ასულმა 3 მან., ტასია ბახტაძის ასულმა—3 მ., სალომე თათეიშვილის ასულმა—30 მან., ელპიტე ნიჟარაძის ასულმა 3 მ., ხათუნა კაჭახიძის ასულმა—6 მან., მარიამ ძიძიგურის ასულმა—3 მ., ბარბარე შუბლაძის ასულმა—3 მან., ედუჩი მებუკის ასულმა—3 მ., რუსუდან დევიძის ასულმა—3 მან., რუსუდან კოხრეიძის ასულმა—4 მ., ნინო ჭავჭანიძის ასულმა—3 მან., ნინო ბიბილეიშვილის ასულმა—3 მ., პეტრე ლეჟავამ—15 მან., მაია ბიბილეიშვილის ასულმა—3 მ., ნინო მესხის ასულმა—3 მან., ფოტინე ჩხენკელის ასულმა—3 მ., ალათი დადივაძის ასულმა—3 მან., დესპინე კინწურაშვილის ასულმა—3 მ., მართა ჭავჭანიძის ასულმა—3 მან., პუპი კიკაჩეიშვილის ასულმა—3 მ., ელისაბედ ჯაიანის ასულმა—9 მ.ნ., ელისაბედ გაბუნიას ასულმა—3 მან., მარიამ ვერულაიშვილის ასულმა—3 მ., იაკობ ლეჟავამ—6 მან., ძილხან ნუცუბიძისამ—3 მ., მავო ბახტაძის ასულმა—3 მან., სალომე ნუცუბიძისამ—3 მ., მარიამ ჩხეიძის ასულმა—3 მან., პელაგია ჯიბლაძის ასულმა—3 მ. სულ 151 მან.

მღვდელი დიდ-ჯიხაიშის ეკკლესიისა ანდრია ლეჟავა

---

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრო შუამდგომლობს, რომ იმიერ-კასპიის მხარესაც იყოს შემოღებული დებულება ვაჭრობისა და მრეწველობის უფლების მისაღებად ხარჯის გარდახდისაო.

—

ამ ახლო ხანში განიხილავს სახელმწიფო საბჭო პროექტს სამკურნალო პოლიციისას, რომელიც სრულიადა სცვლის აწინდელს წესდებას. ამ პროექტით, ყოველს გუბერნიაში დაარსებული უნდა იყოს სასანიტარო-სტატისტიკური ბიურო, გუბერნიისა და მაზრების სანიტარ-სტატისტიკნი უნდა დაინიშნონ და სრულიად განსაზღვრული იყოს მოვალეობა პოლიციის ექიმისა და სანიტარისა. სასანიტარო და სამკურნალო საქმე ყოველ გუბერნიისა მინდობილი ექმნება საბჭოებს, რომლის წევრებადაც იქმნებიან წარმომადგენელნი ადგილობრივ პოლიციისა, ერობისა და ქალაქის დაწესებულებათა და სამკურნალო გამგეობისა. ამ ახალ პროექტთანვე შემოღებულ იქმნება განსაკუთრებულ კომისიის მიერ გადასინჯული სასანიტარო წესები, რომლითაც სასჯელი აქვთ გაძლიერებული იმათ, ვინც სასანიტარო წესებს დაარღვევს.

—

სახელმწიფო რკინის გზათა მთავარ-სამმართველომ ამ ბოლოს დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რკინის გზების მოსამსახურეთა ცხოვრების განკარგებას. ამ ჟამად სახელმწიფოს ყოველ რკინის გზაზედ სახლებს აშენებენ, ყოველის მხრივ განწყობილს, რომლებიც კონდუქტორებსა და მეისრეებს შეუძლიანთ სულ მცირე ფასად დაიქირავონ. ამასთან ამათვე შეშა და ნახშირი იაფ ფასად ეძლევათ და ზოგან-კი სრულიად უსასყიდლოდ ურიგდებათ.

—

გაზ. „Новое Время“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგად ენიშნება სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე გრაფი გოლენიშჩევ-კუტუზოვიო.

—

ხმა დადის, რომ ფოსტა-სადეპეშო მმართველობას სახელმწიფო საბჭოში შეაქვს სრულიად შემუშავებული და დამთავრებული პროექტი ფულის გაგზავნ-გამოგზავნისა, რომელიც ეხლა დაბეჭდილის პაკეტებით იგზავნება.

—

იანვარში განიხილავს სახელმწიფო საბჭო პროექტს ახალის საპასპორტო წესდებისას.

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ფრანგულს გაზ. „Figaro“-ში ორი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ანარქისტების განმრავლების შესახებ. ეს წერილები ამ გაზეთის თანამშრომელის თხოვნით დაუწერიათ იტალიის ცნობილ პუბლიცისტს ბონგისა და იტალიისავე შესანიშნავს მეცნიერს ლომბროზოს.

ბონგი სწერს:

1) აწინდელ საზოგადოებრივ წესწყობილების სიძულილის მიზეზი დიდად რთულია და ახლად გამოჩენილი არ არის. პირველი თესლი ამ სიძულილისა გააჩინა საფრანგეთის რევოლიუციამ. თუმცა რევოლიუციას საგნად არა ჰქონდა იმ სიძულილის ასე გაძლიერება და ზრდა, მაგრამ ისეთს გზას დაადგა, რომ ასეთი შედეგი აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა. 2) ამ საშინელ განსაცდელის ასაცილებლად მხოლოდ ორი საშუალება მოიძებნება, რომელიც პირველის შეხედულობით თითქოს ერთმანეთის წინაამდეგია,—მოსპობა ამ მიზეზისა და სიყვარული. სამწუხაროდ, ერის ხელმძღვანელნი ერთის უნარსაც არიან მოკლებულნი და მეორესასაც. დიდად საჭიროა, რომ ეს

---

ჰლამის გულ-ღვიძლი გაუსინჯოს. არჩილი ჩვენა ვნახეთ მხოლოდ ერთის თვალის მოკვრით, შევატყეთ, რომ მას მოჰხვედრია ტალღა ევროპიულ განათლებისა, რომ განვითარებულის ფიქრისა და განსპეტაკებულის ზნეობის ადამიანია, მაგრამ-კი არ ვიცით ჯერ, ცხოვრებაში როგორ გაიტანს თავის ფიქრსა და როგორ მოიხდის ზნეობრივ ვალს, რომელიც მას შეუგნია. ავტორმა არ დაგვანახვა არჩილის მოქმედება, მისი გულის-პასუხები, მისი წმიდათა-წმინდა, მისი მისწრაფებანი, მისი იდეალები, მისი სულთქმა, ბრძოლა, ერთის სიტყვით, მისი გზა ცხოვრებისა. არჩილი მხოლოდ რეზონერობდა თავად-აზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობის შესახებ და რეზონერობდა ჩინებულად, ფილოსოფიურად, მოსაწონად, იმიტომ-რომ მისს რეზონერობას სარჩულად ჰქონდა განათლებული აზრი დღევანდელის დაწინაურებულის კაცისა.

„უცნაურ ამბავის“ გმირს სოლომანსაც ეტყობა რეზონერობა, როგორც ყოველ ქართველ განათლებულს კაცს ამ უკანასკნელის ოცდაათის წლის განმავლობაში, მაგრამ მას უკვე დაჰჩნევია სიმტკიცე სურვილისა, ხალისი თავის აზრის განხორციელებისა ცხოვრებაში. ამ მხრივ ჩვენს განათლებულს საზოგადოებას უკვე აქვს საკუთარი გამოცდილება, ჰყავს საკუთარი კაცები, რომელნიც საკმაოდ მუქად აფერადებენ ჩვენს უფერულს ცხოვრებას, და სანატრელია, რომ ჩვენმა მცსაიდუმლე ავტორმა „უცნაურის ამბით“ დაგვიხატოს ქართველი განათლებული ახალგაზდა, მისი გულის-პასუხი და მისი ჯერ გაუბედავი მოღვაწეობა, რომელიც უეჭველია მალე გაიკვლევს გზას და მედგარს მოქმედებას გამოიჩენს ქართველის ერის ცხოვრებაზედ... მაგრამ ჯერ ხომ დასაწყისი ვნახეთ მოთხრობისა. მოვიცადოთ...

**

ორიგინალი ლექსიც სამია ჟურნალ „მოამბეში“ და ერთიც ნათარგმნი: „მღერალ ქალს“—ბ-ნ აკაკისა, „რა მემართება ნეტავი?..“—ბ-ნ გრ. ვოლსკისა, „ხმა მესმის...»—ბ-ნ ვაჟა-ფშაველასი და „დღეს შევსრულდი 36 წლისა“ ბაირონის ლექსი, ნათარგმნი ბ-ნ ი. ბაქრაძის მიერ. ყველა ამ ლექსს, რასაკვირველია, აქვს თავ-თავისი ღირსება, ნამეტნავად ბ-ნ ვოლსკის დიდ საგრძნობელს ლექსსა, და ჩვენ არ გამოვუდგებით მათს განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენზედ არ იმოქმედა კარგად ბ-ნ აკაკის ლექსში ამისთანა, ჩვენის ფიქრით, მოუხერხებელმა ადგილებმა:

> თვალი გჭამს და ყური გყლაპავს(?!)
> და მაინც ვერ მღება გული;
> ვარდ-ბულბული შენში თხზულა (!),
> რომ ამაღლდეს სიყვარული.

ერთ კუპლეტში კიდევ ასეთის ლექსით ამკობს ჩვენი პოეტი მღერალს ქალს:

> ხან ქვითინებ გულ-დაწყვეტით,
> შავ-ქვესკნელში აძვრენ (?!) ხმასა.

ორიოდე სიტყვა ნათარგმნ მოთხრობების შესახებ და კიდეც გავათავებთ სიტყვა-კაზმულ ნაწილს „მოამბისას“. ერთი მოთხრობა ეკუთვნის კალამს პოლშის სახელოვან რომანისტისას გენრიხ სენკევიჩისას და ეწოდება „კანდელის მეფარნე“, ხოლო მეორე—რუსეთის ცნობილ მწერალს კოროლენკოს და ეწოდება „ტყე ხმაურობს.“ ვერ ვიტყვით, რომ ეს მოთხრობები ღირსებას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ ვერც იმის თქმა შეგვიძლიან, რომ იგინი საუკეთესო ნიმუშებს შეადგენდენ ხსენებულ ავტორთა ნაწერებისას.

ჩვენის აზრით, რა-კი ქართველ მწერლებში ძრიელ ცოტანი არიან ბელეტრისტები, ჟურნალს შეუძლიან დიდი ამაგი დასდოს ჩვენს საზოგადოებას და დიდი სამსახურიც გაუწიოს იმითი, რომ ჰბეჭდოს საუკეთესო თხზულებანი რუსეთისა და უცხოეთის შესანიშნავ მწერლებისა, როგორნიც არიან ტურგენევი, გონჩაროვი, ტოლსტოი, შპილჰაგენი, დიკენსი, იგივ სენკევიჩი, იოკაი და მრავალნი სხვანი, რომელთაც მაღალი და ძრიელი ზედ-მოქმედება აქვთ თვით დაწინაურებულ მკითხველ საზოგადოებათა ესტეტიკურს, ზნეობრივსა და გონებრივს აღზრდაზედ და უფრო უდიდესს ზედ-მოქმედებას იქონიებენ ჩვენს მკითხველ საზოგადოებაზედ. რაიცა შეეხება თარგმანს, უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ რამდენადაც მოსაწონია თარგმანი „კანდელის მეფარნისა“, იმდენად საშინელია თარგმანი ლეგენდისა „ტყე ხმაურობს“, რომელიც სავსეა სიტყვის რუსულად მიხვრა-მოხვრით.

ჟურნალის მეორე ნახევრის გამო მოვილაპარაკოთ შემდეგ და მანამდე კი სასიამოვნოდ აღსანიშნელია, რომ ამ ნორჩის ჟურნალის პირველმა ნომერმა მოაწონა თავი საზოგადოებას და ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ მოწონებამ შემდეგში უფრო და უფრო იმატოს. მხნეობა და ბეჯითობა ახალის რედაქციისა ამისი თავმდებია, დანარჩენი თვით საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

სტ. ქრელაშვილი

ხელმძღვანელნი გამოიცვალნენ და ახლები დაინიშნენ. 3) აშკარაა, რომ თუ აწინდელი გარემოება არ შეიცვალა, ქვეყნის ყველა დაჩაგრულნი და ტვირთ-მძიმენი შეერთდებიან და საშინელი ლანდი ხორცს შეისხამს. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ რაც უნდა საშიში და უზნეო იყოს იგი, უფრო საშიშია და უზნეო აწინდელის ომიანობის ცრუ-მშვიდობიანობა, რომელშიაც ამ ჟამად ევროპის სახელმწიფონი იმყოფებიან. სიღარიბე იქნებოდა განა, სიმდიდრე რომ არ იყოს და ამ ქვეყნის სიკეთეს თითოეული მარტო თავისკენ რომ არ ითლიდეს? ჭეშმარიტება და ხსნა ჯერ ისევ ქრისტეს სიტყვებშია. ეს სიტყვები უნდა აღვადგინოთ ჩვენს გულში.

აი ლომბროზოს წერილი, იმავე გაზეთში დაბეჭდილი:

ყოველ დროს იყვნენ აწ არსებულის წეს-წყობილების მტერნი და წინააღმდეგნი. ეხლა, როდესაც მეფეთ უწინდელი უფლება აღარა აქვთ და იმათი ადგილი დეპუტატებმა დაიჭირეს, დეპუტატებმა, რომელთა სისასტიკე, იქმნება, აღემატება კიდეც მეფეებისას, საკვირველი არ არის, რომ მეამბოხენი იმათ ემტერებიან, მით უმეტეს, რომ აწინდელი ფანატიკოსობა არ ჩამორჩება უწინდელს პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივს ფანატიკოსობას და ამ ფანატიკოსებს ერთის ლახტის დაკვრით უნდა შეუცვალონ სახე დედამიწას. ხოლო რადგან ეკონომიური ვითარება მართლაც არაფრად ვარგა, მართლ-მსაჯულებაკი ღატარიასა ჰგავს, ამის გამო კეთილ-მსურველნიც ცვლილებათა შემოღებას ემხრობიან. ბოროტების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება ის არის, რომ უბედურთ უფრო უკეთესად მოეპყრან, ხოლო ცუდი საშუალება-კი სასჯელი და ძალ-მომრეობაა. საუკუნოებმა დაგვიმტკიცა, რომ ფანატიკოსებს ძალ-მომრეობა ვერაფერს უზამს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ჰოლლანდიის პაწია დედოფალი ვილჰელმინა ეხლავე იჩენს თურმე თავის განსვენებულ მამის გვარს ხასიათს. პაწია დედოფალს მოჰზუზრებია ექლით სეირნობის დროს ხალხის სალამზედ თავის დაკვრა. ამ დღეებში, თუმცა მისი აღმზრდელი ბევრს ეხვეწა, მაგრამ გაკერპდა თურმე და თავი აღარავის დაუკრა. როდესაც შინ დაბრუნდა, აღმზრდელმა, სასჯელის ნიშნად, დასამინებლად გაჰგზავნა. პაწია დედოფალი მოჰყვა სირბილს ოთახში, ფეხის ბაკუნს, და თან ჰყვიროდა: ,,როგორ მე, დედოფალი, საღამოს შვიდ საათზედ უნდა დავწვე დასაძინებლადაო?“ დედოფალმა-რეგენტმა ძლივს დაამშვიდა თურმე პაწია დედოფალი და სასჯელი აასრულებინა.

—

ლონდონის ერთი გაზეთი სწერს: „მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ მაღალ საზოგადოების უმაწვილმა ქალებმა შემოიღეს ჩვეულებად ფოტოგრაფიით გადაღება თავიანთის სურათებისა. ამ სურათებს ტან-გახდილნი იღებენ, ისე, როგორც ძველად შესანიშნავ კაცთა სურათს გამოაქანდაკებდნენ ხოლმე. ამ უკანასკნელ ხანს ლონდონში რამდენიმე ფოტოგრაფია დაარსდა, სადაც ასეთს სურათებს აკეთებენ“.

—

საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაბეჭდილია ერთი უცნაური ნუსხა ციფრებისა, რომლის შემწეობითაც ადვილად შეიძლება ადამიანის წლოვანების გამოცნობა, მეტადრე კარგია ქალების წლოვანების გამოსაცნობად, ცოტაოდენი გულ-ახდილობა თუ გამოიჩინა იმან, ვისი წლოვანებაც გამოსაცნობია, და სიფრთხილე გამომცნობმა. საჭიროა მხოლოდ, რომ დაასახელებინოთ ამ ნუსხის რომელ სვეტებშია მოთავსებული მისის წლოვანების აღმნიშვნელი რიცხვი. შემდეგ შეაერთეთ იმ სვეტებს ზემოდგან დასმული შავი ციფრები და გამოიცნობთ იმის წლოვანებას. მაგალითებრ, სულ თორმეტი სვეტია ციფრებისა მოყვანილი. ვსთქვათ, განაცხადა ვინმემ, რომ ჩემის წლოვანების აღმნიშვნელი რიცხვი მეერთე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე სვეტშია მოთავსებულიო. შეაერთეთ ამ სვეტების ზემოდგან აღნიშნული შავი ციფრები 32+1+4+8 და 45 გამოვა. მართლაც, მხოლოდ ეს რიცხვია ზემოხსენებულს სვეტებში დაბეჭდილი.

აი ეს ნუსხაც:

| 1 | 2 | 4 | 8 | 16 | 32 | 1 | 2 | 4 | 8 | 16 | 32 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 4 | 8 | 16 | 32 | 33 | 34 | 36 | 40 | 48 | 48 |
| 3 | 3 | 5 | 9 | 17 | 33 | 35 | 35 | 37 | 41 | 49 | 49 |
| 5 | 6 | 6 | 10 | 18 | 34 | 37 | 38 | 38 | 42 | 50 | 50 |
| 7 | 7 | 7 | 11 | 19 | 35 | 39 | 39 | 39 | 43 | 51 | 51 |
| 9 | 10 | 12 | 12 | 20 | 36 | 41 | 42 | 44 | 44 | 52 | 52 |
| 11 | 11 | 13 | 13 | 21 | 37 | 43 | 43 | 45 | 45 | 53 | 53 |
| 13 | 14 | 14 | 14 | 22 | 38 | 45 | 46 | 46 | 46 | 54 | 54 |
| 15 | 15 | 15 | 15 | 23 | 39 | 47 | 47 | 47 | 47 | 55 | 55 |
| 17 | 18 | 20 | 24 | 24 | 40 | 49 | 50 | 52 | 56 | 56 | 56 |
| 19 | 19 | 21 | 25 | 25 | 41 | 51 | 51 | 53 | 57 | 57 | 57 |
| 21 | 22 | 22 | 26 | 26 | 42 | 53 | 54 | 54 | 58 | 58 | 58 |
| 23 | 23 | 23 | 27 | 27 | 43 | 55 | 55 | 55 | 59 | 59 | 59 |
| 25 | 26 | 28 | 28 | 28 | 44 | 57 | 58 | 60 | 60 | 60 | 60 |
| 27 | 27 | 29 | 29 | 29 | 45 | 59 | 59 | 61 | 61 | 61 | 61 |
| 29 | 30 | 30 | 30 | 30 | 46 | 61 | 62 | 62 | 62 | 62 | 62 |
| 31 | 31 | 31 | 31 | 31 | 47 | 63 | 63 | 63 | 63 | 63 | 63 |

## გასართობი

—

— ძია, მომიტანეთ ხილი? ჰკითხა ლამაზმა ნინომ ერთს მოხელეს, რომელიც იმათთან მივიდა.

— არა, ჩემო სულიკო, არ მომიტანია.

— მაშ, დედას ვეტყვი და იმას აღარ ეყვარებით. აი პატარა ძიას ყოველთვის მოაქვს ჩემთვის ხილი და დედასაც უყვარს. როცა-კი მოვა, პირდაპირ დედას ოთახისაკენ გასწევს ხოლმე და დედაც სულ ჰკოცნის და ჰკოცნის!.. რასაკვირველია, ჩემის გულისათვის!

**

ერთი წერილების დამტარებელი ისეთი გულ-მავიწყი იყო თურმე, რომ ხშირად თავისი გვარიც ავიწყდებოდა. ერთხელ წერილი მიიღო თავის სახელობაზედ, მთელი დღე მოიარა ქალაქი და თავისი სახლი ვერ იპოვნა.

**

ერთის ინგლისელ მოგზაურის დღიურში იყო ჩაწერილი: „სამი დღე უხეიროდ დავეხეტებოდი ამ კუნძულზედ და ვერ გავიგე, ცალიერია, თუ ნადირი ხალხი სცხოვრობს, უეცრად წავაწყდი ზღვის პირას სარჩობელას, რომელზედაც დამრჩვალი კაცი ეკიდა. მადლობა ღმერთს, განათლებული ქვეყანა ყოფილა!“

## გამოსადეგი ცნობა

—

თუჯის მიწებება. ინგლისის ერთი სატეხნიკო ჟურნალი თუჯის მისაწებებლად შემდეგ სრულიად უბრალო საშუალებას ასახელებს: მოიღეთ ქვსი წილი გოგირდი, ამდენივე ტყვიის ფერილი*) და ერთი წილი ბავრუკი და ერთად აურიეთ. შემდეგ ეს ნარევი დაასველეთ გოგირდის სიმჟავით, თხლად წაუსვით მისაწებებელ ადგილებს, მაგრამ შეჰკარით მავთულებით და ასე იყოს ხუთ დღეს. ხუთის დღის შემდეგ, როცა გახსნით, ისე ჩინებულად მიეკვრება, რომ ვერც-კი შეატყობთ, რა ადგილებია მიწებებული; სიმაგრეც ისეთი დიდი ექნება, რომ ჩაქუჩის დარტყმასაც გაუძლებს.

*) Свинцовое бѣлило.

# დეპეშა

12 იანვარი

**პეტერბურგი.** სამხრეთის ფქვილის სოვდაგარნი შუამდგომლობენ, რომ ხორბლის გადასატანი ხარჯი პეტროვსკისა, ბაქოს და ბათუმის რკინის გზებზედ შემცირებული იქმნას საქონლის თურქესტანში გასაგზავნადაო.

**ბერლინი.** ხმა დადის, რომ ფლიგელ-ადიუტანტმა ფონ-მოლტკემ გუშინ ფრიდრიხსრუეში თავად ბისმარკს გარდასცა იმპერატორის ხელით დაწერილი წერილი, რომელშიაც იმპერატორი სწერს, რომ ერთს ბოთლს ძველს ღვინოს გიგზავნი და ინფლუენციისაგან განკურნებას მოგილოცავო. გაზ. Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ ალბად ფლიგელ-ადიუტანტი ფრიდრიხსრუეში თვით იმპერატორის სურვილით იყო გაგზავნილიო. „Koelnische Zeitung“-ი სწერს, რომ თავადმა ბისმარკმა მადლობა გადაუხადა იმპერატორს ძღვენისათვის და მისწერა, რომ მაშინვე გიახლებით ბერლინში თქვენს უდიდებულესობასთან, თქვენის დაბადების დღის შემდეგაო.

გრაფი გერბერტ ბისმარკი გუშინწინ სამსახურიდგან გადადგომის შემდეგ პირველად დაესწრო ორდენის დღესასწაულს და სამეფო გვარეულობის რამდენიმე წევრნი დიდის წყალობით მოექცნენ.

**ბელგრადი.** გაზეთები იუწყებიან, რომ მეფე ალექსანდრეს წინადადებით უმთავრესი სალიბერალო კომიტეტი დასთანხმდა სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენელთაგან შეედგინა სამინისტრო «ნაპრედნიაკების» მონაწილეობით, მაგრამ ამ უკანასკნელთ მტკიცე უარი განაცხადესო. სიმიჩმა იკისრა კაბინეტის შედგენა.

**პეტერბურგი.** ანტვერპენის 1894 წლის გამოფენის რუსულ განყოფილების მთავარ-კომისარად დანიშნულია ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი გლუხოვსკი.

**ბელგრადი.** აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ მეფე ასეთს პირობებს უდებს კაბინეტის შემდგენთაო: გაუქმებულ იქმნას კანონი მილანის განდევნის შესახებ, მოისპოს ლიბერალ[ურ] მინისტრების გამო სასამართლოში აღძრული საქმე, ჩემის სურვილისამებრ დაინიშნოს ბელგრადის პრეფექტი და სამხედრო მინისტრი და დასებს არავითარი გავლენა არა ჰქონდეს გარეშე პოლიტიკის მიმართულებაზედაო. კეთილად არ დაბოლოვდა მოლაპარაკება ლიბერალებსა და ნაპრედნიაკებთან. ეხლა მეფეს თათბირი აქვს სიმიჩთანა და სვეტომირ ნიკოლაევიჩთან. წინადადებაა შეტანილი, რომ სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენელთაგან შესდგეს სამინისტრო.

გუშინ დიდის ამბით აკურთხეს რუსეთის საელჩო ნიშაში.

13 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოვიდა პირველი ნომერი საყოველ-კვირაო სამეურნეო ჟურნალის Хозяйнъ-ისა.

**ბელგრადი.** კაბინეტი ამოარჩიეს. მთავარ-მინისტრი საგარეო საქმეთა და ფინანსებისა სიმიჩია. სიმიჩის კაბინეტს არა აქვს ცალ-კერძ დასის მიმართულების ხასიათი, ამიტომ საეჭვოა, რომ მომხრე იშოვოს. ნაპრედნიაკების უმთავრესმა კომიტეტმა გარდასწყვიტა, გამოვრიცხოთ ჩვენს შორიდამ ის ნაპრედნიაკი, რომელიც ახალს კაბინეტში შევაო. ესე ჰფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტი ეცდება ლიბერალ[ურ] მინისრებისათვის ამნისტია გამოითხოვოს და შემდეგ ადგილს დაუთმობს ავაკუმოვიჩის სამინისტროსაო. სკუპშჩინა დაიშალა.

**ვენა.** Neue Ereie Presse აღნიშნავს და დიდს მნიშვნელობას აძლევს იმ ამბავს, რომ იმპერატორი ვილჰელმი და თავადი ბისმარკი ერთმანერთს დაუახლოვდნენ. ამ გაზეთის სიტყვით, თავ. ბისმარკის გავლენა აგრარიებზედა და კონსერვატორებზედ უთუოდ იმას დაჰბადებს, რომ რუს-გერმანელთა სავაჭრო ხელშეკრულობის მოლაპარაკებას ხმის უმეტესობას შესძენსო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,37 | 7,40 | — ,, |
| ტფამოყნის კუპონები . | 147¼ | 148 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 189¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | 100¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—14 6)




„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |